

ბროშურა მომზადებულია  
ასოციაცია გენეზისი -ს მიერ



# გულ-ფილტვის რეანიმაცია



THE  
**JOHANNITER**



## **რა არის გულ-ფილტვის რეანიმაცია?**

გულ-ფილტვის რეანიმაცია (გფრ) არის პროცედურა, რომელიც ტარდება გულის გაჩერებისა და სუნთქვის შეწყვეტის დროს.

## **პროცედურა დანართება**

- ▶ სიცოცხლის შენარჩუნება (გფრ)
- ▶ გართულებების თავიდან აცილება
- ▶ უსაფრთხოების უზრუნველყოფა

## **დაზარალებულის შეზარება**

გარემო უსაფრთხოების შემოწმებისა და, შეძლებისდაგვარად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ შეამოწმეთ დაზარალებულის ცნობიერების დონე:

- ▶ ფრთხილად შეარხიეთ დაშავებული (გახსოვდეთ, რომ შესაძლებელია იყოს ხერხემლის დაზიანება);
- ▶ დაუსვით კითხვა – “როგორ ხართ?” ან უბრძანეთ: “გაძილე თვალი!”

## **განსოდეთ DRABC**

**D** (Danger) – საშიშროების შეფასება

**R** (Response) – რეაგირების ხარისხის/ცნობიერების შეფასება

და გფრ-ს ოთხი მთავარი ნაწილი:

**A** (Airway) – სასუნთქი გზების გამტარებლობა

**B** (Breathing) – სუნთქვის არსებობა

**C** (Circulation) – სისხლის ცირკულაციის/პულსის არსებობა

**D** (Defibrillation) – დეფიბრილაცია – ანუ მაღალი ძაბვის ელექტრული მუხტის გულის კუნთში გატარებით გულის ნორმალური მუშაობის აღდგენის მცდელობა (გფრ-ს ეს ნაწილი ტარდება მხოლოდ იმ მაშველების მიერ, ვინც დეფიბრილატორის სწორად გამოყენება იცის!)

**დაზარალებული არ მოძრაობს და  
არაფერზე რეაგირებს.**



გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება 033, მოიტანეთ  
დეფინილაციი (თუ გამოყენება იცით) ან მეორე მაშველი  
გააგზავნეთ ამის გასაკეთებლად.



გახსენით სასუნთქი გზები და  
შეამოწმეთ სუნთქვა.



თუ არ არის სუნთქვა, გააკეთეთ ორი საკონტროლო ჩაბერვა  
ისე, რომ დაშავებულის გულმკერდმა აიწიოს.



თუ არ არის რეაქცია, შეამოწმეთ პულსი 10 წამის  
განმავლობაში.

პულსი არ არის


პულსი არის



დაიწყეთ გულის არაპირდაპირი  
მასაჟი/ზეწოლები, ციკლით 30  
ზეწოლა და 2 ჩაბერვა ძლიერად,  
სწრაფად და უწყვეტად, სიხშირით  
100 ზეწოლა/წუთში (ჩაბერვისას  
ზეწოლებს დროებით აჩერებთ) –  
გააგრძელეთ სანამ სამედიცინო  
დახმარება მოვა, სანამ  
დეფინილაციას ჩაუტარებენ ან  
დაზარალებული მოძრაობას დაიწყებს

გააკეთეთ 1 ჩაბერვა  
ყოველ 5-6 წამში  
ერთხელ;  
ყოველ 2 წუთში  
ერთხელ შეამოწმეთ  
პულსი.

## თუ გაქვთ ავტომატური დეფიბრილატორი და იცით დეფიბრილაციის ჩატარება



**სასუნთქმი გზების გახსნა, სუნიქვის შემოწმების და  
ხელოვნური სუნიქვის ტექნიკა**

ნაბიჯი	მოქმედება
1	შეამოწმეთ პირის დრუ – გაათავისუფლეთ უცხო სხეულისა ან/და ნაღები მასისაგან
2	გახსენით სასუნთქი გზები, დაადეთ დაშავებულს ცალი ხელი შუბლზე, ფრთხილად გადაუწიეთ თავი უკან, მეორე ხელის საჩვენებელი და შუა თითების ბალიშებით წამოუწიეთ ნიკაპი ზემოთ (ხერხემლის ტრაგმის დროს სასუნთქი გზები გახსენით თავის გადაწევის გარეშე: ორივე ხელის ცერა თითები მოათავსეთ დაზარალებულის ქვედა ყბაზე, პირის კუთხეების გასწვრივ, ხოლო დანარჩენი თითები ქვედა ყბის ორივე კუთხეში. წამოწიეთ ქვედა ყბა წინ და ზემოთ)
3	შეაფასეთ სუნთქვა სამი კ-ს პრინციპით: <ul style="list-style-type: none"> <li>• კუსმენ დაშავებულის სუნთქვას</li> <li>• კგრძნობ პაერის ნაკადს</li> <li>• კხედავ მკერდის მოძრაობას</li> </ul>
4	სასუნთქი გზების გახსნილ მდგომარეობაში შენარჩუნების ფონზე, ჩაბერეთ (პირით -პირში - ცხვირის დახშობით ნესტოებზე ხელის მოჭერით, ან პირით - ნიღაბში) ისე რომ გულმკერდმა აიწიოს. თითო ჩაბერვა მოახდინეთ 1 წამის განმავლობაში.

**გულ-მკერდის არაპირდაპირი მასაშის ტექნიკა**

<b>ნაბიჯი</b>	<b>მოქმედება</b>
1	მოთავსდით დაშავებულის გვერდით
2	დარწმუნდით, რომ დაშავებული წევს მყარ, ბრტყელ ზედაპირზე. თუ დაშავებული წევს მუცელზე, გადმოაბრუნეთ და დააწვინეთ ზურგზე.
3	შეუხსენით ან მოაცილეთ ტანსაცმელი გულ-მკერდის არედან, ისე რომ ხედავდეთ დაშავებულის კანს გულმკერდზე, თუ გულმკერდი სველია, გაამშრალეთ
4	დაადეთ დაშავებულს ხელის მტევნის ბორცვი შიშველ მკერდზე დვრილებს შორის, ზუსტად ცენტრში.
5	მეორე ხელის მტევნის ბორცვი დაადეთ თქვენს პირველ ხელს, გადააჭდეთ ორივე ხელის თითები ერთმანეთს და წამოწიეთ ზემოთ.
6	გაასწორეთ იდაყვები ისე, რომ თქვენი მხრები და თავი გაუსწორდეს თქვენი ხელების მტევნებს.
7	გააკეთეთ ძლიერი, სწრაფი და უწყვეტი ზეწოლა დაშავებულის გულმკერდზე ისე, რომ მკერდის მვალმა ჩაიწიოს, დაახლოებით, 4 – 5 სანტიმეტრით.
8	ზეწოლებს შორის გულ-მკერდს მიეცით მოდუნების საშუალება, რათა სრულად მოხდეს გულის შეგსება სისხლით.
9	უწყვეტად გააკეთეთ 30 ზეწოლა გულ-მკერდზე სისხლით 100 ზეწოლა წუთში

- ▶ მაშველმა უნდა გააკეთოს ზეწოლა ძლიერად და ღრმად;
- ▶ მაშველმა უნდა გააკეთოს 30 დაწოლა სიხშირით 100 ზეწოლა წუთში;
- ▶ მაშველმა ზეწოლებს შორის დაშავებულის მკერდს უნდა მისცეს მოდუნების საშუალება;
- ▶ მაშველმა არ უნდა შეწყვიტოს ზეწოლები ხშირად და დიდი ხნით.

## **17 დაშავებული გონიერებები**

- ▶ ჩაატარეთ პირველადი დაოვალიერება;
- თუ დაშავებულს საშიშროება ადარ ემუქრება, დატოვეთ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ნახეთ და უხმეთ დახმარებას. სამედიცინო დახმარების მოსვლამდე გააგრძელეთ ზრუნვა დაშავებულზე.

## **18 დაშავებული სუნთქმას**

- ▶ შეამოწმეთ პულსი საძილე არტერიაზე (ჩვილებში - მხრის არტერიაზე);
- ▶ გამოავლინეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის დაზიანებები, როგორიცაა მაგ: სისხლდენა, მოტეხილობა, დამწვრობა და მიიღეთ სათანადო ზომები;
- ▶ გადაიყვანეთ დაშავებული უსაფრთხო პოზიციაში;
- ▶ თვალყური ადევნეთ ცნობიერების დონეს, პულსს, სუნთქმას.

## **19 დაშავებული უგონოდას**

- ▶ დაუყოვნებლივ უხმეთ სასწრაფო დახმარებას;
- ▶ დეფიბრილატორის არსებობის შემთხვევაში, მოიტანეთ ან ითხოვეთ მისი მოტანა;

- ▶ თუ გფრ-ს ჩატარება მოუხერხებელია დაზარალებულის მდებარეობის გამო, ფრთხილად გადაიყვანეთ იგი – მოათავსეთ მყარ ზედაპირზე (იატაპზე ან მაგიდაზე);
- ▶ ხერხემლის დაზიანებაზე ეჭვის შემთხვევაში, დაზარალებული ყველა წესის დაცვით გადაადგილეთ; თუ სახით ქვემოთ წესს, ფრთხილად გადააბრუნეთ ზურგზე. თუ გადაადგილებული წყალში წესს, გადმოსწიეთ წყლიდან და გულმკერდი გაუმშრალეთ;
- ▶ დაიწყეთ სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენაზე მუშაობა: ABC: Airway - სასუნთქი გზები, Breathing - სუნთქვა, Circulation - სისხლის მიმოქცევა;
- ▶ შეამოწმეთ პირის ღრუ – გაათავისუფლეთ უცხო სხეულისა ან/და ნაღებინები მასისაგან;
- ▶ გახსენით სასუნთქი გზები.

## როგორ გავხსნათ სასუნთქო გზები

- ▶ დაიჩოქეთ დაზარალებულის თავთან, დაადეთ ცალი ხელი შუბლზე, ფრთხილად გადაუწიეთ თავი უკან; მეორე ხელის საჩვენებელი და შუა თითების ბალიშები მოსდეთ ნიკაპის ქუთხეს და წამოწიეთ დაშავებულის ქვედა ყბა წინ და ზემოთ;
- ▶ ხერხემლის ტრაგმის დროს სასუნთქი გზების გახსნა ხდება თავის გადაწევის გარეშე: ორივე ხელის ცერა თითო მოათავსეთ დაზარალებულის ქვედა ყბაზე



(ტუჩების კუთხეებთან), ხოლო დანარჩენი ოთხი თითო ქვედა ყბის ორიგე კუთხეს ქვემოდან ამოსდეთ და წამოწიეთ ქვედაყბა წინ და ზემოთ; შეამოწმეთ სუნთქავს თუ არა დაშავებული.

## სუნთქვის შეფასება

სუნთქვა ფასდება სამი გ-ს პრინციპით – გისმენ, გხედავ, გვრძნობ – 5-10 წამის განმავლობაში .

- ▶ თუ სუნთქვა არის, იგულისხმება, რომ დაზარალებულის გული მუშაობს;
- ▶ თუ სუნთქვა არ არის, გააკეთეთ ჯერ ერთი საკონტროლო ჩაბერვა (ჩაბერვის ხანგრძლივობა 1 წამი ან პირველი ჩაბერვის მერე დავითვლით ხმამაღლა 101 102 103 და გაგაკეთოთ მეორე ჩაბერვა) - დააკვირდით აიწევს თუ არა გულმკერდი ჩაბერვისას, თუ არ აიწევს, გააკეთეთ მეორე საკონტროლო ჩაბერვა და ისევ დააკვირდით გულმკერდს. ჩაბერვისას გულმკერდის მოძრაობის არარსებობის დროს საგარაუდოა, რომ სასუნთქი გზები გაუგალია.



## **როდის ფარდება მცოლოდ ხელოვნური სუნთქვა გულის მასაშის გარეშე?**

თუ სუნთქვა არ არის და პულსი კი ისინჯება, დაიწყეთ მხოლოდ ხელოვნური სუნთქვის ჩატარება – ერთი ჩაბერვა 5-6 წამში ერთხელ (ბავშვებში ერთი ჩაბერვა 3 წამში ერთხელ) და გადამოწმეთ პულსის არსებობა ყოველ 2 წუთში ერთხელ. პულსის გაქრობის შემთხვევაში სასწრაფოდ დაიწყეთ გულის მასაჟი ჩაბერვებთან 30:2 თანაფარდობით.



## **თუ დაშავებული არ სუნთქმაშს**

- ▶ გააკეთეთ ორი საკონტროლო ჩაბერვა;
- ▶ თუ სასუნთქი გზები გამავალია, დაიწყეთ გფრ;
- ▶ თუ სასუნთქი გზები გაუვალია, დაათვალიერეთ პირის ღრუ უცხო სხეულის აღმოსაჩენად, გააკეთეთ ორი ჩაბერვა და დაიწყეთ გულის გარეგანი მასაჟი (კომპრესიები).

## **რობორ ჩაგატაროთ გულის არააირდაპირი მასაჟი**

გულის მასაჟის გაკეთებისას მნიშვნელოვანია თქვენი ხელების სწორი მდებარეობა – ზეწოლების დროს მაშველის ხელის მტევნის ბორცვი მოთავსებულია დაზარალებულის მკერდზე, დვრილებს შორის ზუსტად ცენტრში, ხელები დაზარალებულის გულმკერდის მიმართ სწორი კუთხითაა აღმართული, მაშველის ტანი კი დაზარალებული სხეულის ზემოთაა (და არა მის გვერდით).

- ▶ მასაჟი ზრდასრულებს ორივე ხელით უნდა გაუკეთდეს
- ▶ ჩვილებს - 2 თითის მეოდენით

## გფრ-ს პირითაღი ტექნიკა

- ▶ მოახდინეთ სწრაფი და ძლიერი, რიტმული ზეწოლა მკერდის ძვალზე სიხშირით 100 ზეწოლა/წუთში
- ▶ მოზრდილებში ზეწოლის სიდრმე უნდა იყოს 4-5 სმ
- ▶ ჩვილებსა და ბაგშვებში - მკერდის სიდრმის 1/2 ან 1/3
- ▶ ზეწოლებს შორის ხელები აუშვით, ისე რომ დაზარალებულის გულკერდი სრულად გაიშალოს და საწყისს მდებარეობას დაუბრუნდეს.
- ▶ მაშველებისთვის არსებობს გულ-ფილტვის რეანიმაციის უნივერსალური თანაფარდობა მოზრდილებში 30:2.
- ▶ ბაგშვთა ასაკისათვის ეს თანაფარდობა იგივე რჩება, როცა გფრ-ს ერთი მაშველი აკეთებს და თანაფარდობა 15:2-ით იცვლება, თუ ბაგშვს გფრ-ს ორი მაშველი უტარებს.



თითოეული ჩაბერვის ხანგრძლივობა 1 წმ უნდა იყოს. ჩაბერვის სიძლიერე საკმარისი უნდა იყოს გულმკერდის შესამჩნევი ვერტიკალური მოძრაობის გამოსაწვევად. გაუკეთეთ 30 დაწოლა გულმკერდზე სიჩქარით 100 დაწოლა წუთში შემდეგ 2 ხელოვნური ჩასუნთქვა.

### **როდის გაჩერვათ გფრ-ს?**

- ▶ როცა დაზარალებული დაიწყებს მოძრაობას;
- ▶ როდესაც მოგა სამედიცინო პერსონალი, რომელიც გფრ-ს გააგრძელებს.

### **თუ დაშავებული დაიზყვას სუნთქვას:**

- ▶ შეამოწმეთ ადექვატურია თუ არა მისი სუნთქვა;
- ▶ თუ მისი სუნთქვა ადექვატურია, მოათავსეთ იგი უსაფრთხო პოზიციაში და განაგრძეთ სუნთქვაზე დაკვირვება;
- ▶ გაუხსენით საკინძე, გამოაღეთ ფანჯარა.

### **რა უდაბ გახსოვდეთ გულმკერდის გასაშის დროს:**

- ▶ ყურადღება მიაქციეთ ხელების სწორ პოზიციას;
- ▶ თითები არ მიაკაროთ პაციენტის გულმკერდს;
- ▶ დაწოლა აუცილებლად  
გაპეტეთ დურილებს  
შორის ზუსტად ცენტრში;
- ▶ მასაჟის გაპეტების დროს  
იდაყვები გაჭიმული  
გქონდეთ და ხელები არ  
მოაცილოთ პაციენტის  
გულმკერდს;



- ▶ გულმკერდს ძლიერად და სწრაფად დააწექით, მაგრამ დაწოლებს შორის გულმკერდს მიეცით მოდუნების საშუალება.

## **რა პროცედური შეიძლება ზარმოზნას გვამოვინოს დროს**

გვრ ზოგჯერ არაეფექტურია მისი შესრულების უზუსტობის გამო, ანუ:

- ▶ თუ დაწოლები ძლიერად, უწყვეტად და სანგრძლივად არ ხორციელდება;
- ▶ თუ მასაჟი ზედაპირულია - წარმოქმნილი სისხლის მოძრაობა საქმარისად ეფექტური არაა
- ▶ თუ მასაჟი ძალზე სწრაფად კეთოდება და ზეწოლებს შორის გულმკერდს გაშლის საშუალება არ ეძლევა
- ▶ თუ ჩაბერვა ძალიან დიდი სიძლიერით ხდება – რამაც ჰაერის კუჭში გადასვლა და ღებინება შეიძლება გამოიწვიოს

მხოლოდ კარგად გაეკეთებული გვრ ზრდის სიცოცხლის გადარჩენის შანსს!

## **გულმკერდის მასაჟი გაგვივისაზე**

- ▶ ბავშვებში გვრ ტარდება იგივე პროპორციით 30 ზეწოლა და 2 ჩაბერვა (30:2), თუ გვრ-ს ერთი მაშველი ატარებს და 15 ზეწოლა და ორი ჩაბერვა (15:2), თუ გვრ-ს ერთი მაშველი ატარებს;



- ▶ გფრ ტარდება ერთი ხელით (ჩვილებში ორი - საჩვენებელი და შუა თითით) თუ მაშველი მარტოა და ორივე ხელის ცერა თითებით, თუ გფრ-ს ორი მაშველი ატარებს. ზეწოლის სიღრმე არის მკერდის სიღრმის 1/2 ან 1/3.



## როცა გფრ-ს ბაზგებას და ზრდასრულებას 2 დამსარე უკეთებას

ეს ზოგავს დროს ჩასუნთქვებსა და გულმკერდის კომპრესიას შორის — გფრ უფრო ეფექტურია ერთი მაშველი ამოწმებს ABC-ის. მეორე ემზადება გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩასატარებლად.

## როცა გფრ-ს 2 დამსარე ატარებას

- ▶ ერთი მაშველი ატარებს ხელოვნურ სუნთქვას, მეორე კი გულმკერდის მასაჟს;

- ▶ მაშველები ერთმანეთს ენაცვლებიან ყოველ 2 წუთში, ანუ ყოველი ხუთი ციკლის - 30:2 თანაფარდობის – მერე.



## გზრ ტრაინინგი

თუ პირველი დამხმარე იწყებს გფრ-ს გაკეთებას, და შემდეგ მოღის მეორე დამხმარე, რომელსაც შესაძლოა უკეთესი კვალიფიკაცია პქონდეს, დამხმარე, რომელსაც აქვს უკეთესი კვალიფიკაცია, განსაზღვრავს როგორ უნდა მოხდეს გფრ-ს გაგრძელება.

## როდის არ გვთღება გზრ?

- ▶ შემთხვევის ადგილას მაშველი და დაზარალებული არ არიან სიცოცხლისათვის უსაფრთხო სიტუაციაში და შეუძლებელია დაზარალებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა;
- ▶ ექიმი ამბობს, რომ პაციენტი გარდაიცვალა.

ბროშურა მომზადებულია  
ასოციაცია “გენეზისი”-ს მიერ

THE JOHANNITER-ის დაფინანსებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის  
მიმართეთ  
ასოციაციას “გენეზისი”  
შემდეგ მისამართზე:  
თბილისი 0154 ზუგდიდის ქუჩა №3  
ტელ: 348951 ტელ/ფაქსი: 943148

ელ. ფოსტა: [genesis@genesis.ge](mailto:genesis@genesis.ge)  
ინტერნეტი: [www.genesis.ge](http://www.genesis.ge)